საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 36
26/06/2019

36-07-4-201906261552

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №36
2019 წლის 26 ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ის „განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის თანხა განისაზღვროს 9100 ლარის ოდენობით;

ბ) განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 4900 ლარის ოდენობით;

გ) განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 3200 ლარის ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო